უფასო

# ჩემი გაზეთი

29 მარტი
2019 წელი

№2 (39)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე 2018 წლის საქმიანობას აჯამებს

***ბაღდათის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულო საქმიანობას 2017 წლის 20 ნოემბრიდან შეუდგა. 2018 წლის საქმიანობის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე „ჩემი გაზეთის“ გუნდს ესაუბრა.***

**– როგორ შეაფასებდით 2018 წელს საკრებულოს საქმიანობას (საკრებულოს აპარატი, კომისიები, ფრაქციები, მაჟორიტარების საქმიანობა).**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულო საქმიანობას შეუდგა 2017 წლის 20 ნოემბრიდან. ამ ხნის განმავლობაში საკრებულოს ხელმძღვანელობა, საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს თითოეული წევრი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ვთვლი, რომ განვლილ პერიოდში საკრებულოს საქმიანობა იყო ნაყოფიერი, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები გამომდინარეობდა იმ პრობლემებიდან და საკითხებიდან, რომლებიც აწუხებს ჩვენს ამომრჩეველს. რიგ საკითხებზე, რომელიც საკრებულოს სხდომებზე განიხილებოდა, იყო ცხარე კამათი, პრობლემების გადაჭრისათვის განსხვავებული პოზიციები და იყო, რა თქმა უნდა, ხარვეზები ამ პრობლემების მოგვარების გზების შერჩევაში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულია 29 საკრებულოს წევრი, რომელიც წარმოადგენს ოთხ საარჩევნო სუბიექტს: „ქართული ოცნება“, “დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო – ბაქრაძე, უგულავა“, საკრებულოში დაფუძნებულია 5 ფრაქცია: „ქართული ოცნება“, “ქართული ოცნება – მრეწველები“, „ქართული ოცნება – მწვანეები“, “ქართული ოცნება –კონსერვატორები“ და „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. 29 საკრებულოს წევრიდან 14 მაჟორიტარი დეპუტატია.

განვლილ პერიოდში, რომელიც მოიცავს 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს, ჩატარდა საკრებულოს 27 სხდომა, მათ შორის 11 რიგგარეშე. სულ მოწვეული იქნა და ჩატარდა ბიუროს 35 სხდომა, საკრებულოს ამ პერიოდში განხილული აქვს 204 საკითხი და ყველა საკითხზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, მათ შორის დადგენილება გამოტანილია 94 საკითხზე, ხოლო განკარგულება 109 საკითხზე.

საკრებულოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შექმნილია ხუთი მუდმივმოქმედი კომისია: 1. იურდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია; 2. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია; 3. გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისია; 4. ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია; 5. განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია. კომისიებზე მომზადდა და ჩატარდა 65 სხდომა, განხილული იქნა 193 საკითხი.

საკრებულოს კომისიების ერთობლივი საქმიანობის ეფექტურობის მიზნით გავზარდეთ კომისიათა ერთობლივი სხდომებისა და გაფართოებული სხდომების ჩატარების პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის ორი გაფართოებული და სამი გაერთიანებული სხდომა.

საკრებულოს, მისი კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს პირველადი ერთეული – საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება 6 პროფესიული საჯარო მოხელისაგან. დამატებით სხვადასხვა დამხმარე და არამუდმივი ფუნქციების შესრულებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით, დასაქმებული გვყავს რამდენიმე საჯარო მოსამსახურე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ყოველწლიურად ხდება აპარატის თანამშრომელთა შეფასება წლის შედეგების მიხედვით, ასევე შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს ყოველკვარტალური შეფასების მეთოდი ახლადმიღებული თანამშრომლების მიმართ. შეფასების არსი მდგომარეობს შემდეგში: პროფესიულად ყალიბდება თუ არა ესა თუ ის საჯარო მოხელე, როგორია მისი მომზადების დონე შემდგომი კარიერული განვითარებისათვის. შეფასების შედეგად ამა თუ იმ მოხელეს შესაძლებელია მიენიჭოს კლასი, მიღებული იქნეს გადაწყვეტილება მისი სწავლებისა და გადამზადებისათვის, რაც დაფინანსებული იქნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. აპარატის მოხელეთა შეფასებისათვის, საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის ბრძანებით, დამტკიცებული იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები.

საკრებულოს აპარატში გასულ 2018 წელს შემოსული და რეგისტრირებულია 271 სხვადასხვა სახის განცხადება, მომართვა თუ კორესპოდენცია. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოსულია 23 განცხადება, 27-მა მოქალაქემ მოგვმართა სხვადასხვა საკითხზე. ყველა შემოსულ დოკუმენტზე მოხდენილია შესაბამისი რეაგირება, ერთსა და იმავე საკითხზე განმეორებით მომართვას ადგილი არ ჰქონია.

საკრებულოს საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკრებულოში არჩეულია 14 მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებიც რეალურად ფლობენ სოფლებში არსებულ პრობლემებს, აქტიურად არიან ჩართული ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძიებაში. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად კეთილმოეწყო სოფლის ინფრასტრუქტურული ობიექტები, მთლიანად შეიცვალა სოფელ როხის ცენტრის იერსახე, სოფელ დიმის ცენტრის დასუფთავებისათვის მუდმივად გამოიყო დასუფთავების სამსახურიდან ერთი თანამშრომელი. საერთოდ, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის საკითხები მუნიციპალიტეტში მოწესრიგდა, ჩვენმა ერთმა სოფელმა – პირველმა ობჩამ, სპეციალური პრიზიც მიიღო ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში.

მაჟორიტარი დეპუტატების მხრიდან განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლის შედეგია ის, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც 2018 წელს დაიწყო, დამთავრებულია ან დამთავრების სტადიაშია და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დასრულდება. აქტიურად მიმდინარებს მუშაობა მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული სამუშაოების შერჩევისა და დროულად დაწყებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატების წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში. ყოველი მათგანი ზუსტად ფლობს ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქალაქეთა ყოფით ცხოვრებაზე.

**– მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსა და 2018 წელს განხორციელებულ პროექტებზე გვესაუბრეთ.**

გასულ წელთან შედარებით მუნიციპალური ბიუჯეტი 2019 წლისათვის გაიზარდა 1064. ათასი ლარით, რამაც საშუალება მოგვცა პირველად ბოლო წლების მანძილზე გამოგვეყო დაახლოებით 300.0 ათასი ლარი ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე დაფინანსების პროექტების განსახორციელებლად, როგორიცაა: შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების შეკეთება და ა.შ. მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება. გასულ წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 8 პროექტი, რომელთაგან დასრულებულია 7, დასრულების პროცესშია 1 პროექტი (ვადა გაუგრძელდა სოფელ ხანის პროექტს). ამ პროექტების შესრულების საკასო მაჩვენებლით ჩვენი მუნიციპალიტეტი პირველია რეგიონის მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის ბოლოს, დეკემბერში დამატებით მივიღეთ 1700.00 ათასი ლარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, შევძელით, სამუშაოთა დიდი ნაწილი დაგვეწყო და დაგვესრულებინა. ჯამში, 2018 წელს, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე მუნიციპალიტეტში დაიხარჯა 5.0 მილიონამდე ლარი. მომავალი წლისათვის წარდგენილი გვაქვს 11 პროექტი, რომლის სავარაუდო ღირებულება არის 6.628.340 ლარი. ნაწილი ამ თანხისა – 2.658.340 ლარი მივიღეთ და გამოვაცხადეთ ტენდერები. ძირითადად საწყისი თანხა მივმართეთ გარდამავალ საგზაო პროექტებზე

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## თოჯინების თეატრის დაბადება და პრემიერა

21-22 მარტს ა.(ა).ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებულმა ახლადფეხადგმულმა თოჯინების თეატრმა გერნეტი გურევიჩის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის – „ბატის ჭუკის“ პრემიერა გამართა. ბაღდათში თოჯინების თეატრის დაარსების იდეა ბაღდათის სახალხო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს – პავლე აბულაძეს ეკუთვნის.

სპექტაკლის რეჟისორი ქუთაისის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან გაბრიჩიძე, მხატვარი ხათუნა თევზაძე, ხოლო მუსიკალური გამფორმებელი ნუკრი კარკაძე გახლავთ. სპექტაკლში მოყვარული მსახიობები, საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ. ბაღდათში გამართული პრემიერის შემდეგ თეატრალური დასი უახლოეს მომავალში სოფლებში გამართავს სპექტაკლის ჩვენებას.

# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე 2018 წლის საქმიანობას აჯამებს

*დასაწყისი 1 გვ.-ზე*

და ფერსათი-შუბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე, რისთვისაც მიმდინარე წელს გამოვყავით 1806580 ლარი. აღდგენილი იქნა და მიმდინარე წელს კვლავ განახლდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. მართალია, დაშვებული თანხა იმ რაოდენობის არ არის, რაც გასულ წელს იყო, მაგრამ რიგი საკითხების გადაწყვეტა ადგილზე, სოფელში შესაძლებელია. აქვე მინდა აღვნიშნო მთავრობის მხარდაჭერის შესახებ. 2018 წლის 30 ნოემბრის ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ გაწეული დახმარების თაობაზე ყველა ჩვენი მიმართვა გათვალისწინებული იქნა და 200.00 ათასი ლარი ჩაერიცხა მუნიციპალიტეტს, რათა სტიქიისაგან დაზარალებული ჩვენი მოსახლეობისათვის საამშენებლო მასალები შეგვეძინა.

მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სოფლის მხარდაჭერის პროგრამების გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მოგვცემს, ნაწილობრივ გადავწყვიტოთ სოფლის მოსახლეობის მიერ დაყენებული პრობლემები. მიმდინარე წელს, ამ კუთხით, მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 346.0 ათასი ლარი, ხოლო 45 180 ლარი ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ყველა სოფელში ჩატარდა კრება, გამოიკვეთა საკითხები, რომლის განხორციელება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

**– სოციალური მიმართულებით რა ნაბიჯები გადაიდგა და წელს რა გეგმები გაქვთ?**

მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობის სოციალური ყოფითი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების გაწეული საქმიანობა, რაშიც აქტიურად არის ჩართული საკრებულოს წევრები. ისევე როგორც გასულ წელს, 2019 წელს შევძელით, გაგვეზარდა ბიუჯეტში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამების დაფინანსება. 2017 წლის ფაქტიურ დანახარჯთან შედარებით აღნიშნული პროგრამის დაფინანსება მიმდინარე წელს გაზრდილია 104.0 ათასი ლარით. გასულ საანგარიშო პერიოდში სამედიცინო კუთხით, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო კვლევებს, ოპერაციების თანადაფინანსებასა და მედიკამენტებით დახმარებას, გახარჯულია 137.400 ათასი ლარი, სოციალურად შეჭირვებულ და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 310 ოჯახს გაეწია 44.0 ათას ლარზე მეტი ფინანსური დახმარება. მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამა კიდევ უფრო დაიხვეწა და შესაძლებლობა გვექნება, ჩვენს მეტ თანამოქალაქეს დავეხმაროთ.

**– მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის რა პროექტები განხორციელდა?**

ჩვენი საქმიანობის ერთი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის შემდგომი ეკონომიკური წინსვლისათვის, შევძელით მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ინიციატივითა და საკრებულოს მხარდაჭერით შემუშავებულიყო ისეთი პროექტები, როგორებიცაა: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმა“ და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების

სამოქმედო გეგმა“, რომლის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად იყო ჩართული. გეგმის პროექტი მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ექსპერტების მიერ შეფასდა უმაღლესი ქულით, გამოცხადდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან წარდგენილ გეგმებში, მიჩნეული იქნა საუკეთესოდ და უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ დაჯილდოებაზე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერს გადაეცა ამის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიის ინიცირებით მომზადდა საკითხი და საიჯარო ქირა განესაზღვრა საქართველოში მოქმედ ინტერნეტ-პროვაიდერებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციები გამოიყენონ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისა და სხვა მოწყობილობების განთავსებისათვის, რაც დამატებითი შემოსავალია ადგილობრივი ბიუჯეტისათვის.

2018 წელს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ საპრივატიზებოდ მომზადდა 17 ობიექტი, აუქციონი გამოცხადდა და საპრივატიზებოდ გატანილი იქნა 14 ობიექტი, რომლის პრივატიზების შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში 300.0 ათას ლარზე მეტი თანხა იქნა მობილიზებული. 68 მოქალაქეს დაუკანონდა პირად საკუთრებაში, მათ სარგებლობაში, მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც არსად არ იყო აღრიცხული წლების განმავლობაში, ისინი ამ ქონებას ფლობდნენ, მაგრამ ვერ იყენებდნენ ეკონომიკური საქმიანობისათვის.

**– კულტურული მიმართულებით რა აქტივობებს გამოყოფდით?**

კულტურული ღონისძიებებიდან გამოვყოფდი მუნიციპალიტეტის არსებობის ისტორიაში პირველი ეკო-ფესტივალის ჩატარებას, რომელსაც საკმაო მხარდაჭერა და გამოხმაურება მოჰყვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული ფესტივალის ორგანიზატორები აპირებენ ანალოგიურის გაკეთებას რუსეთსა და გერმანიაში. მნიშნელოვანი იყო ასევე პოლონეთის ქალაქ ლისომიცესთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება და დელეგაციების გაცვლა. გარკვეული წარმატებები ჰქონდა ჩვენს სახალხო თეატრსა და სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ჩვენი სპორტსმენები მრავალი საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული შეჯიბრების გამარჯვებულები და პრიზიორები გახდნენ.

**– განათლების განვითარების კუთხით რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა?**

ცალკე მინდა გამოვყო ჩვენი კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხები, რომელიც ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა. გასულ წელს ამ მიმართულებით მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება, აქტივობა და სხვა სახის რეფორმები გავატარეთ. ფუნქციური გარდაქმნები მოხდა რიგ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებში. ა.(ა).ი.პ. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე გაერთიანების იმ სეგმენტში, რომელიც ბაგა-ბაღებს აერთიანებს, საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის შესახებ“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ ინიცირება გაუკეთა და დაამტკიცა ის აუცილებელი სტანდარტები, რომელსაც მომავალში უნდა აკმაყოფილებდეს აქ მომუშავე ყველა პერსონალი.

**– გვესაუბრეთ მერიასთან და დეპუტატის ბიუროსთან თანამშრომლობაზე.**

ჩვენს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის. საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა როგორც მუნიციპალიტეტის მერთან, ასევე მერიის შესაბამის სამსახურებთან. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს წევრებს განვლილ საანგარიშო პერიოდში მერიის სამსახურების მისამართით ჰქონდათ შენიშვნები, მაგრამ იგი არ გასცდენია ჩვენს უფლება-მოვალეობებს. აქვე მინდა დავძინო, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს კანონით აქვს მინიჭებული აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისადმი ზედამხედველობა და კონტროლი, ხშირად ამ ბერკეტს არ ვიყენებთ მაშინ, როცა ჩვენს მოსახლეობას ცალკეული საკითხებისადმი და არსებული პრობლემებისადმი აქვს სამართლიანი შენიშვნები.

ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა საქართველოს პარლამენტის წევრთან – ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში. მისი, როგორც მთის საბჭოს წევრის აქტიურობით, დღეს სოფელი ხანი და მისი მაცხოვრებლები ფლობენ მთის სტატუს, რაც გარკვეულ შეღავათებს უწესებს აქ მცხოვრებ პენსიონერებს, პედაგოგებს. ამ კუთხით მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მუშაობა გრძელდება, რათა სოფლებმა – ზეგანმა და საკრაულამ მიიღოს ეს სტატუსი. მაჟორიტარი დეპუტატი ასევე მთელი წლის განმავლობაში ჩართული იყო 2019 წლის ბიუჯეტის შედგენისა და ფორმირების საკითხებში, თავად მიიღო მონაწილეობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის განხილვასა და დამტკიცებაში.

***მარიამ ოქროჭელიძე***

---

## ნიჭიერი თაობა

ჩემო ერთგულო მკითხველო! რუბრიკა „ნიჭიერი თაობა“ მინდა მცირედი სახეცვლილებით შემოგთავაზოთ. 2018 წელს, თუ საგაზეთო სტატიები სკოლის ასაკის შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულ მოზარდებს დაეთმო, ამ თვიდან ვეცდები წარმატებით გამორჩეული ბაღდათელი სტუდენტები გაგაცნოთ. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არცთუ ცოტანი არიან. სწორედ ასეთი თაობაა მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ხვალინდელი იმედიანი მომავალი. ისინი ასპროცენტიანი დაფინანსებით მოხვდნენ სასწავლებლებში, არიან პრეზიდენტის სტიპენდიანტები, მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში იღრმავებენ ცოდნას. მერწმუნეთ, ძალიან ამაღელვებელია როცა აღმოაჩენ, რომ ასეთი საოცარი ახალგაზრდები ერთი და ორი კი არა, ათეულობით გვყოლია ბაღდათში. მინდა თითოეულს ვუსურვო დასახული მიზნის მიღწევა, ახლა კი ამ თვის სტუმარს, **თამარ ლილუაშვილს** გაგაცნობთ. ის სოფელ წითელხევის მკვიდრია. გოგონამ წითელხევის, ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა იმავე წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ასპროცენტიანი დაფინანსებით განაგრძო. პირველივე სემესტრიდან გახდა პრეზიდენტის სტიპენდიანტი. მოიპოვა Erasmus + სტიპენდია და გაცვლითი პროგრამით, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებდა, გერმანიაში, ზაარლანდის უნივერსიტეტში სასწავლო წლის ერთი სემესტრი გაატარა. ბაკალავრიატი წითელი დიპლომით დაასრულა და მაგისტრატურაც, კერძო სამართლის მიმართულებით ასპროცენტიანი დაფინანსებით განაგრძო. პირველივე სემესტრში მოიპოვა DAAD-ის კვლევითი სტიპენდია და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ერთი თვე დაჰყო. ცოტა ხნის წინ, ისევ Erasmus + სტიპენდია მიიღო და ისევ ზაარლანდის უნივერსიტეტში მიდის, ამჯერად ერთი თვით.

სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის საუნივერსიტეტო კონფერენციებში, რამდენჯერმე იყო საპრიზო ადგილების მფლობელიც. თამარი განსაკუთრებული სიამოვნებით იგონებს მათემატიკის სასკოლო ოლიმპიადას, რომელშიც გაიმარჯვა და ამისათვის კურორტ ბახმაროს ორკვირიანი საგზურით დააჯილდოვეს. ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს. მისი უახლოესი სამომავლო გეგმა ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაა, არ გამორიცხავს საზღვარგარეთ სწავლის პერსპექტივასაც.

მინდა, ამ საოცარ გოგოს მუნიციპალიტეტი იცნობდეს და ვამაყობდეთ მისი ნიჭიერებითა და მიზნებით, მჯერა მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაეწერება ქვეყნის ისტორიაში. საამაყოა, რომ ის ბაღდათის მკვიდრია.

***აზა მაშანეიშვილი***

# ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაიწყო

***საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა კვლავ დაიწყო. მას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. აღნიშნული პროგრამისთვის საჭირო თანხა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო. აღნიშნული საკითხის შესახებ „ჩემი გაზეთი“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს – კახა გოგნაძეს ესაუბრა.***

2019 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის სულ გამოყოფილია 391 180 ლარი. აქედან 346 000 ლარი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხოლო 45 180 ლარი თანადაფინანსების პრინციპით მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შექმნა სპეციალური სახელმძღვანელო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საპროექტო წინადადებების შერჩევა სახელმძღვანელო მუნიციპალიტეტებისათვის“, რომლის თანახმადაც განისაზღვრა გარკვეული ვადები პრიორიტეტების შესარჩევად. გთავაზობთ, აღნიშნული პროგრამის განხორციელების კალენდარს:




სოფლის საერთო კრებები (პროგრამის მეორე ეტაპი) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში 4-7 თებერვალს გაიმართა. შედგა შესაბამისი სხდომის ოქმები და გამოიკვეთა პრიორიტეტები, თუ რა პროექტი უნდა განხორციელებულიყო ამა თუ იმ სოფელში მათთვის გამოყოფილი ასიგნებების შესაბამისად. სოფლებზე თანხის გადანაწილების სქემა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეადგინა საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით და მზა სახით გადაეგზავნა მუნიციპალიტეტებს. საერთო კრებების შედეგად გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც პროგრამით გამოყოფილი თანხა მოხმარდება. ესენია: სოფლებში გარე განათების უზრუნველყოფა და შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება. წარმოგიდგენთ სოფლების მიხედვით ასიგნებათა გადანაწილებას:

| № | მუნიციპალიტეტი | სოფელი | პროექტის დასახელება | პროექტის სავარაუდო ღირებულება (ლარი) | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | რეგიონ-ს დაფინანსება | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანადაფინანსება |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | ბაღდათი | დიმი | გარე განათების ქსელის მოწყობა | 23,360 | 20,000 | 3360 |
| 2 | | საიმედო | სანიაღვრე არხების მოწყობა რკინა-ბეტონით | 10,500 | 10,000 | 500 |
| 3 | | ვარციხე | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 15,500 | 14,000 | 1500 |
| 4 | | | ახალგაზრდების თავშეყრის ადგილას სკვერის მოწყობა | 6,000 | 6,000 | 0 |
| 5 | | საკრაულა | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა | 2,580 | 2,580 | 0 |
| 6 | | | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 9,970 | 8,970 | 1000 |
| 7 | | | ხიდბოგირის მოწყობა | 450 | 450 | 0 |
| 8 | | ქვედა ზეგანი | გარე განათების ქსელის მოწყობა | 5,020 | 4,700 | 320 |
| 9 | | | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 8,300 | 7,300 | 1000 |
| 10 | | ზედა ზეგანი | მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა | 5,100 | 4,800 | 300 |
| 11 | | | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 5,700 | 5,200 | 500 |
| 12 | | წიფა | გარე განათების ქსელის მოწყობა | 5,400 | 5,040 | 360 |
| 13 | | | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 5,960 | 4,960 | 1000 |
| 14 | | ნეგიერეთი | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 10,300 | 10,000 | 300 |
| 15 | | ფერსათი | გარე განათების ქსელის მოწყობა | 18,480 | 16,000 | 2480 |
| 16 | | | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 4,800 | 4,000 | 800 |
| 17 | | შუბანი | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 7,350 | 6,550 | 800 |
| 18 | | | გარე განათების ქსელის მოწყობა | 6,350 | 5,450 | 900 |
| 19 | | წითელხევი | სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა | 8,300 | 8,300 | 0 |
| 20 | | | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 12,500 | 10,500 | 2000 |
| 21 | | | გარე განათების ქსელის მოწყობა | 1,300 | 1,200 | 100 |
| 22 | | როხი | სოფლის ცენტრში კულტურის ობიექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა | 30,000 | 20,000 | 10000 |
| 23 | | მეორე ობჩა | გარე განათების ქსელის მოწყობა | 18,700 | 15,700 | 3000 |
| 24 | | | ბიბლიოთეკისათვის ოთახის მოწყობა | 300 | 300 | 0 |
| 25 | | პირველი ობჩა | გარე განათების ქსელის მოწყობა | 18,600 | 15,900 | 2700 |
| 26 | | | სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია | 3,050 | 3,050 | 0 |
| 27 | | | ,,ნასახლის" სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 2,250 | 1,050 | 1200 |
| 28 | | დიდველა | სასაფლაოს ღობის რეაბილიტაცია | 16,300 | 16,000 | 300 |
| 29 | | როკითი | გარე განათების ქსელის მოწყობა | 17,600 | 16,000 | 1600 |
| 30 | | ზედა დიმი | გარე განათების ქსელის მოწყობა | 18,020 | 16,000 | 2020 |
| 31 | | ნერგეეთი | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 20,800 | 20,000 | 800 |
| 32 | | დაფენილი | გარე განათების ქსელის მოწყობა | 3,480 | 3,240 | 240 |
| 33 | | | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 7,000 | 6,000 | 1000 |
| 34 | | | ხევზე დამცავი ღობის მოწყობა | 760 | 760 | **0** |
| 35 | | წყალთაშუა | ღვარსადენის მოწყობა, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 9,800 | 9,000 | 800 |
| 36 | | | საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მოწყობა | 1,000 | 1,000 | 0 |
| 37 | | წაბლარასხევი | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 10,800 | 10,000 | 800 |
| 38 | | ალისმერეთი | სანიაღვრე სისტემის მოწყობა, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 10,000 | 10,000 | 0 |
| 39 | | ხანი | შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია | 19,500 | 16,000 | 3500 |
| 40 | | კაკასხიდი | სასმელი წყლის სისტემის სათავის მოწყობა | 10,000 | 10,000 | 0 |
| | | | | 391,180 | 346,000 | 45,180 |

მოწყობის სამსახურმა 19 მარტს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარადგინა დასამტკიცებლად (პროგრამის მესამე ეტაპი) და პირველი აპრილიდან დაიწყება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასკვნითი ეტაპი – შესყიდვების განხორციელება, შემსრულებელ კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმება და დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

***მარიამ ოქროჭელიძე***

# „ოქროს ბავშვების“ ტელე-ეთერი

15 თებერვალს ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ქალაქ ბაღდათს ესტუმრა და რამდენიმე თემაზე სიუჟეტიც მოამზადა, რომელიც ტელემაყურებელმა 19 თებერვალს იხილა. ბაღდათში სატელევიზიო გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ წარმომადგენელი გიორგი ქორქია იმყოფებოდა, რომელიც მერაბ ნერგაძის სახელოსნოს, ვახტანგ ჯიხვაძის მარანს და სოფელ ფერსათში არსებულ საკვირაო სკოლას ესტუმრა. ბატონი გიორგი ჩვენთან შემონახულმა ტრადიციულმა საქმიანობებმა აღაფრთოვანა.

მერაბ ნერგაძე უკვე რამდენიმე ათეული წელია ხეზე მუშაობს და მის ნამუშევრებს ბევრგან წააწყდებით. იგი ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია, რომელიც მის საქმეს დიდი სიყვარულით აკეთებს. მისმა შექმნილმა ინოვაციურმა „მომღერალმა ჭიქამ“ დიდი მონონება დაიმსახურა.

ვახტანგ ჯიხვაძე ფერსათელი მეღვინეა, რომელმაც საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ წინაპართა მარნის აღდგენა და ამ საქმიანობის გაგრძელება გადაწყვიტა. მისთვის ტრადიციულ მოტივებზე აგებული მარანი ბევრს ნიშნავს.

სოფელ ფერსათში საკვირაო სკოლა 2011 წლიდან არსებობს, სადაც ახალგაზრდები ხელსაქმეს: ქარგვას, თექასა და ფარდაგზე მუშაობას ვეუფლებით. ამ სკოლის დაარსების მიზანი ძველი ხალხური რეწვის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების ამ საქმიანობაში ჩართვა იყო. იგი მეუფე ანტონის კურთხევითა და მამა დიმიტრის იდეით შეიქმნა, რომელსაც ამ დროის განმავლობაში მარინა გრძელიძე უძღვება. რუსთავი ორის წარმომადგენლები შეგვხვდნენ, დაათვალიერეს ნამუშევრები, გაიზიარეს ჩვენი გამოცდილება და ინტერესები. ჩვენი ნამუშევრებით აღფროვანებულმა გიორგი ქორქიამ „ოქროს ბავშვებიც“ კი გვიწოდა. მათი სტუმრობა ჩვენთვის სტიმულის მომცემი აღმოჩნდა, უფრო დიდი შემართებით ვმუშაობთ და ვამაყობთ ჩვენი საქმიანობით.

საკვირაო სკოლის მოსწავლე დაარსების დღიდან ვარ. ყველაფერი საღვთისმეტყველო გაკვეთილებით დაიწყო, რამდენიმე თვეში კი ხალხური რეწვის წრეც გაიხსნა. უპირველეს ყოვლისა, ეს დიდი სიახლე და შესაძლებლობა იყო ფერსათში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, დავუფლებოდით ძველ ქართულ, ხალხურ, ტრადიციულ საქმიანობას. უცნაური შეგრძნებაა, აკეთო საქმე, რომელსაც ადრე შენი დიდი ბებია და ბაბუა აკეთებდა. თითქოს სიამაყის შეგრძნებაც გიჩნდება, რომ მათი ასეთი კარგი საქმე არ დაკარგე და საზოგადოებას აცნობ ოცდამეერთე საუკუნეში. თექასა და ფარდაგზე მუშაობა ერთგვარი ხელოვნებაა, ფერების შერჩევა, შეზავება და სწორად დასმა გეხმარება გადმოსცე შენი განწყობა და გრძნობები ნამუშევარში. ხალხური რეწვა დიდ მოთმინებას მოითხოვს. თუ იგი არ გიყვარს, ნამუშევარს ვერ შექმნი, ვერ დაასრულებ. ამიტომ თითოეული ნამუშევარი დიდ სიყვარულს აფრქვევს, რომელიც ოსტატმა გადასცა კეთების პროცესში. ჯერ თემას არჩევ, შემდეგ ფერებს, მაგრამ მთავარი საქმე ნამუშევრის ფორმის მიცემაა, რომელიც შენი თითებით უნდა გააკეთო. ამ საქმეში ჩემი მიზანდასახულობა და სიმშვიდე მეხმარება. ბედნიერებაა აკეთებდე საქმეს, რომელიც გიყვარს და გამშვიდებს. გამოფენები ბაღდათის მოსახლეობის წინაშე ჩვენთვის დიდად საპასუხისმგებლოა და მოტივატორიც. დამთვალიერებლის თბილი სიტყვები კიდევ უფრო მეტ სტიმულს გაძლევს, რომ უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი ექსპოზიცია შექმნა. ჩვენ ვცდილობთ, ქართული ხალხური რეწვა ყველა სფეროში ჩავრთოთ და საზოგადოებას შთავაგონოთ, რომ ის არსებობს და ძალიან ძლიერად. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია. ჩვენ, აქტიური ახალგაზრდები, ვცილობთ, ჩვენი თვითმყოფადობა და კულტურა შევინარჩუნოთ, შემოვუნახოთ ჩვენს შვილებს და მათაც იამაყონ წინაპრების დაწყებული საქმით.

ბედნიერები ვართ, რომ „დილა მშვიდობისა საქართველოს“ მეშვეობით ჩვენს შესახებ მთელმა საქართველომ გაიგო.

***ანა ეგუტიძე***

# ბაღდათის მუნიციპალიტეტში ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში შემუშავებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელება დაიწყო

**2017 წლიდან ბაღდათის მუნიციპალიტეტი ჩართულია ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის". ინიციატივის მიზანი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისგან მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერაა, რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პროექტის ფარგლებში უკვე შემუშავებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა და დაწყებულია მის განხორციელებაზე აქტიური მუშაობა. ამ ყოველივეს შესახებ „ჩემი გაზეთი" ესაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის I კატეგორიის უფროს სპეციალისტს ეკონომიკის განვითარების საკითხებში თინა აბულაძეს, რომელიც ამასთანავე არის აღნიშნული პროექტის ფარგლებში ეკონომიკური განვითარების ოფიცერი მუნიციპალიტეტში.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში ეკონომიკურ საკითხებზე ვმუშაობ. ვფიქრობდი, რომ მუნიციპალიტეტს ეკონომიკური განვითარების გეგმა უნდა ჰქონოდა. დავიწყე მოძიება, ვინ შეიძლებოდა დამხმარებოდა ამ საკითხში. მივმართე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, მათ შორის, ექსპერტს ევროკავშირის სხვადასხვა პროექტში, ზვიად არჩუაძეს. მისგან გავიგე, ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" შესახებ, რომელიც საქართველოშიც იწყებდა მუშაობას. ეს იყო ძალიან კარგი შესაძლებლობა. ბატონი ზვიადის ინიციატივით მე უნდა ვყოფილიყავი ამ პროექტში ეკონომიკური განვითარების ოფიცერი მუნიციპალიტეტში, რადგანაც მასთან ერთად რამდენიმე პროექტში მქონდა მუშაობის გამოცდილება.

პროექტის დარეგისტრირების შემდეგ ბატონმა ზვიადმა გამოგვიგზავნა კითხვარები ეკონომიკური განვითარების (LED) ოფიცრის შესაძლებლობის და მუნიციპალიტეტის საჭიროების კვლევისთვის. 2017 წლის 20 ნოემბერს მერის ხელმოწერით ბაღდათის მუნიციპალიტეტი გახდა ამ ინიციატივის კლუბის წევრი, ხელმომწერი და ავიღეთ ვალდებულება, ერთი წლის განმავლობაში შეგვემუშავებინა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. ამისთვის ინიციატივის სამდივნომ გაგვიწია ტექნიკური დახმარება, 2018 წლის იანვრიდან, 4 თვის განმავლობაში, მე და მუნიციპალიტეტის მერიის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ალექსი ნაკაშიძე დავდიოდით ტრენინგებზე, ძირითადად ვორქშოპები – სამუშაო შეხვედრები იყო. საქართველოდან ამ პროექტში 14 მუნიციპალიტეტი იყო ჩართული. ტრენინგების მიმდინარეობისას ვიხილავდით გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, ვიღებდით რეკომენდაციებს, წარვადგენდით პრეზენტაციებს მუნიციპალიტეტების მიხედვით. ყოველი შეხვედრის შემდეგ გვქონდა კონკრეტული დავალებები.

მეთოდოლოგიის მთავარი მოთხოვნა იყო ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება კერძო სექტორთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ფაქტობრივად, ამ პროცესში მთელი მუნიციპალიტეტი იყო ჩართული. შეიქმნა პარტნიორთა საბჭო, გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. გეგმის

შემუშავების ყველა ეტაპზე, ბიზნეს სექტორთან შეხვედრები და სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესი მიმდინარეობდა მერის ჩართულობით. საბოლოოდ მივიღეთ დოკუმენტი, სადაც მოცემულია ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი, SWOT ანალიზი, ხედვა, მიზნები, სამოქმედო გეგმა, შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები.

გეგმის ქართულმა ვერსიამ ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციისაგან დიდი მოწონება დაიმსახურა. შემდეგ ინგლისური ვერსია წარვუდგინეთ ევროკავშირის ინიციატივის სამდივნოს, რომელმაც ექსპერტიზისთვის გადაუგზავნა მსოფლიო ბანკს და ინიციატივის ბრიუსელის ოფისს. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმამ მსოფლიო ბანკისგან უმაღლესი შეფასება მიიღო 6 ქვეყნიდან წარდგენილ 128 გეგმაში და მას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტებისათვის. აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოდან წარდგენილი ყველა გეგმა დადებითად შეფასდა. აქედან საქართველოში ოთხმა გეგმამ მიიღო საუკეთესო შეფასება, ყველაზე დიდი მოწონება კი ჩვენს გეგმას ხვდა წილად.

მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული მცირედი რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ ჩვენ მიერ შემუშავებული ეკონომიკური განვითარების გეგმა მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა. საქართველოში აღნიშნული გეგმა კანონით დადგენილი წესით პირველებმა ჩვენ მივიღეთ. გეგმის ქართული და ინგლისური ვერსია ატვირთულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დადებითად შეფასებული გეგმების წარმომადგენლები, „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროგრამის ფარგლებში, უკრაინაში, ქალაქ კიევში ვიყავით მიწვეულები უმაღლესი დონის კონფერენციაზე. საქართველოდან ამ პროექტის ფორმატში 10 დელეგატი ვიყავით. ფორუმზე მსოფლიო ბანკის ექსპერტები, ბრიუსელის ოფისისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. კონფერენციის მიმდინარეობისას მოხდა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, აღნიშნული ვიზიტი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. კონფერენციის დასკვნით ნაწილში საუკეთესო გეგმის წარმდგენ მუნიციპალიტეტებს გადმოგვეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

გეგმის ასეთი სტატუსით ევროკავშირისთვისთვის სამიზნე მუნიციპალიტეტების რიგში შევედით, რაც გვაძლევს როგორც დამატებით ბენეფიტების მიღების შესაძლებლობას, ასევე მათი მონიტორინგის ობიექტი გავხდით. მონიტორინგის პირველი ვიზიტით 17 იანვარს ჩვენთან იმყოფებოდნენ „მერები ეკონომიკური ზრდისთვის ევროკავშირის ინიციატივის", საქართველოს და აზერბაიჯანის კოორდინატორი ზვიად არჩუაძე და საერთაშორისო ექსპერტი ანტონიო კასტრო. ინიციატივის სამდივნო, გეგმაში გაწერილი მონიტორინგის გრაფიკის შესაბამისად, შეამოწმებს გეგმის შესრულების პროცესს, დამატებით ევროკავშირის ექსპერტები ყოველწლიურად ადგილზე განახორციელებენ გეგმის შესრულების მონიტორინგს.

ინიციატივის სამდივნოს ხელშეწყობით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან წარმატებული მუნიციპალიტეტების 30 ეკონომიკური განვითარების ოფიცერი 10 თებერვლიდან 6 დღიანი სასწავლო ვიზიტით ვიმყოფებოდით ნიდერლანდების სამეფოში. სასწავლო ვიზიტის მიზანი იყო ნიდერლანდების საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის გზით დამსწრეთა ცოდნის გაღრმავება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საკითხზე. ვიზიტის ყურადღების საგანი იყო ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოწყობა, დაფინანსება, პოლიტიკისა და პროექტების განვითარება.

ვიზიტის განმავლობაში მონაწილეები გავეცანით ჰოლანდიის სამთავრობო სისტემის საფუძვლებს, სისტემაში სხვა აქტორების როლს, აგრეთვე, „სამმაგი სპირალის" კონცეფციას, რომელიც ხაზს უსვამს საჯარო ორგანიზაციებს, კერძო აქტორებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის როლს ეკონომიკური განვითარების წახალისების საქმეში. ამასთან, ნიდერლანდებში ადგილობრივი განვითარების სფეროში მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან რამდენიმე შეხვედრის საშუალებით, სხვადასხვა მიმართულებით საუკეთესო გამოცდილებას, მათ შორის, „ჭკვიანი სპეციალიზაციის" თეორიას და მის პრაქტიკულ გამოყენებას; ტურიზმის გავლენას ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე; განვითარების რეგიონული სააგენტოების როლსა და მნიშვნელობას რეგიონულ დონეზე ეკონომიკური განვითარების სტიმულირების საქმეში; ადგილობრივი თანამშრომლობის ხელშეწყობის გზებს.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის" სამდივნომ ეკონომიკური განვითარების გეგმის შესრულების შესაძლებლობა მოგვცა პერსონალთა გაცვლის პროგრამის გამოცხადებით. ამით საშუალება გვქონდა განაცხადი წარგვედგინა და გვესწავლა, როგორ ჩაგვერთო ჩვენთან ჩატარებულ სხვადასხვა ფესტივალში კერძო სექტორი, ასევე როგორ მოგვეზიდა დიდი რაოდენობის ტურისტი მუნიციპალიტეტში. ჩვენი სურვილია, ფესტივალების სწორად დაგეგმვისა და ორგანიზების საკითხებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. თავის მხრივ, ჩვენც გავაცნობთ ჩვენს მოსაზრებებს. ამისთვის სამდივნომ უკვე მოიძია შესაბამისი ადამიანი, დანიიდან მოწვეულია საერთაშორისო ექსპერტი კრისტიან პლილი, რომელიც ბაღდათს ესტუმრება და 5 დღე დარჩება ჩვენთან. ამ ხნის განმავლობაში გავაცნობთ ბაღდათის პოტენციალს და მისი ჩართულობით ორგანიზებას გავუკეთებთ ღვინისა და ნატურალური პროდუქტების ფესტივალს.

სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ქმედებების უმეტესი ნაწილი განხორციელების პროცესშია. ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს კომუნიკაცია კერძო სექტორთან. ამ ეტაპზე ვმუშაობთ სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის შექმნისთვის ფონდების მოძიებაზე, კონკრეტულად ვამზადებთ საგრანტო წინადადებას იაპონიის საელჩოსთვის წარსადგენად.

*მარიამ ოძროჭელიძე*

# პირველი ადგილი ეკოლი ადგილს მიენიჭოთ ამბავი

**როკითის** საჯარო სკოლა „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019"-ის გამარჯვებული გახდა. სასკოლო გარემოსდაცვითი კონკურსი – „ნიკო კეცხოველის პრემია" 2015 წლიდან ტარდება CENN-ის მიერ, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის თანაორგანიზატორები არიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი. „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019"-ის თემა იყო „მდგრადი განვითარების მიზნები". საკონკურსო წელი 2018 წლის მაისიდან 2019 წლის მარტამდე გაგრძელდა. მონაწილე სკოლებს უნდა განეხორციელებინათ სხვადასხვა აქტივობა და დაეგროვებინათ ქულები. როკითის საჯარო სკოლა დაგროვებული ქულებით ნახევარფინალში მოვხდა და საუკეთესო პრეზენტაციით ფინალში გადავიდა. 21 მარტს, ტყეების დაცვის საერთაშორისო დღეს, „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019 - მდგრადი განვითარების მიზ-ნების" ფინალი თბილისში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ჩატარდა. ფინალი ოცდათორმეტ სკოლას შორის გაიმართა. გამარჯვებულები კომპეტენტური ჟიურის მიერ 3 კომპონენტის მიხედვით გამოვლინდა: წლის განმავლობაში დაგროვებული ქულები, ეკოსპიკერი და პრეზენტაცია. ეს დღე როკითის საჯარო სკოლისათვის ემოციურად დატვირთული აღმოჩნდა. ეკოკლუბის წევრებისა და პედაგოგების შრომამ შედეგი გამოიღო და პირველი ადგილი მოიპოვეს. გუნდმა საჩუქრად საზაფხულო ეკობანაკი მიიღო, ხოლო ეკოკლუბის ლიდერი ნანა ლაბაძე, ერთი დღით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის როლს მოირგებს. შეგახსენებთ, რომ ნანა ლაბაძე 2018 წელს, ამავე პროექტის ფარგლებში, ავსტრია-სლოვენიის საგზურით დაჯილდოვდა. როკითის საჯარო სკოლა მესამე წელია აქტიურადაა ჩართული აღნიშნულ პროექტში და მრავალი პრიზი აქვს მიღებული. წარმატებული მუშაობისთვის, კლუბის ხელმძღვანელს მაია აბდალაძეს წლის მასწავლებლის სერტიფიკატი გადაეცა.

# ზვიად გამსახურდია

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია წელს, 31 მარტს, 80 წლის გახდებოდა. ის იყო ადამიანი, რომელიც საზოგადოებამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მთავარ შემოქმედად აღიარა. სწორედ ზვიად გამსახურდიას უდიდესი ძალისხმევითა და წინამძღოლობით დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იხსნა ქვეყანა საბჭოთა რეჟიმისაგან და დამოუკიდებლობა მოუპოვა. ზვიად გამსახურდია იყო როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ასევე მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი, დისიდენტი. მან ბავშვობიდანვე გენეტიკურად, მემკვიდრეობით მიიღო მამის რჩევა – „გახსოვდეს, ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის რაიმე მაღალი და ზეაღმტაცი ამბებისათვის“.

ზვიად გამსახურდია ქართველების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი რომანისტის, აკადემიკოს კოსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში დაიბადა 1939 წლის 31 მარტს.

ბატონმა ზვიადმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგიის სპეციალობით. 1950 -იანი წლებიდან ის უკვე ჩართული იყო დისიდენტურ საქმიანობაში, 17 წლისამ ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის პირობითი ხუთწლიანი სასჯელი მიიღო.

ქართველი ერის ინტერესები, სიყვარული და ერთგულება ზვიადისთვის ყოველთვის ყველაფერზე მაღლა იდგა. შეიძლება ითქვას, რომ ის მერაბ კოსტავასთან ერთად ქართული ნაციონალიზმის ნათლიმამად აღიარეს. ის ნაციონალისტური საქმიანობის გამო პოლიციამ არაერთხელ დააპატიმრა, გაათავისუფლეს სამსახურიდან და გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავასთან ერთად, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და მედროშე იყო. ასევე იყო 1987-90 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციის ერთ-ერთი მოთავე, მათ შორის, 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციისაც, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიით დასრულდა. ზვიადი კი, როგორც აქციის ორგანიზატორი, დააპატიმრეს. ამ დღემ ჩვენს მეხსიერებაში ტკივილთან ერთად უდიდესი სიამაყის განცდაც დატოვა, რადგან ქართველებმა ერთად დგომა და ეროვნული ერთიანობის მიღწევა შეძლეს, აღსრულდა ნება ქართველი ერისა. ეს დღე ისტორიაში დარჩა, როგორც სიმამაცის, თავისუფლების, ქართული სულის გამოღვიძებისა და თავგანწირვის სიმბოლო. 1990 წლის 28 ოქტომბერს, ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში, ჩატარდა პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები. ქართულმა ეროვნულ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით შეძლო ქართველი ერის საუკუნოვანი მოსწრაფების განხორციელება. ეროვნული მოძრაობა გაერთიანდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გარშემო.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ 1991 წლის 9 აპრილს სწორედ ზვიად გამსახურდია აირჩია თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად.

1991 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილებით საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდა. ეს დღე ქართველთა პატრიოტული სულისკვეთების ძლიერი გამოხატულება აღმოჩნდა, თითქმის ერის დაბადების ტოლფასი მოვლენა. 31 მარტის რეფერენდუმი გაიმართა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

შეკითხვაზე „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქციის საფუძველზე“, საქართველოს მოსახლეობის 98-მა პროცენტმა დადებითად უპასუხა, რის შედეგადაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. რეფერენდუმი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს დაემთხვა, შესაძლოა, არც თუ შემთხვევით.

გარდა იმისა, რომ ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ეროვნული გმირის აღიარება მოიპოვა, ასევე საყურადღებოა მისი სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობა. მას 1973 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991 წელს კი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

ის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. მისი ღვაწლი ქართული ლიტერატურის განვითარებაში უდიდესია. მის სამეცნიერო კალამს ეკუთვნის ოთხი მონოგრაფია რუსთველოლოგიის, ქართული კულტურის ისტორიის, თეოლოგიისა და ამერიკული პოეზიის ისტორიის საკითხებზე. გამოცემულია მისი ლექსებისა და იგავ-არაკების კრებული. მის მოღვაწეობაში მეტად მნიშვნელოვანია შექსპირის, ბოდლერის, გოგოლისა და სხვა უცხოენოვან ავტორთა თხზულებების თარგმანები.

ზვიად გამსახურდიას შემოქმედების გაცნობისას ვხვდებით, რომ ის ილიასა და აკაკის სულიერი მემკვიდრეა. მისი შინაგანი სამყარო მჭიდროდაა დაკავშირებული ქრისტიანობასთან და რწმენის სიმტკიცესთან. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს მის ღვაწლს ერისა და ქვეყნის წინაშე.

ალბათ, განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი ლექსი „ქრისტეშობა“, სადაც ავტორი ერთდროულად გვესაუბრება შობაზე, ქრისტეს წამებასა და აღდგომაზე. ლექსი მკითხველში საოცარ განცდებს იწვევს და ამასთანავე ბევრ კითხვასაც აჩენს:

„ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს –
უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ
საოცარი ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით
ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე
იშვა ბეთლემსა.“

ეს ლექსი ზვიად გამსახურდიამ 1992 წლის 7 იანვარს, შობა დღეს დაწერა.

1992 წლის 6 იანვარს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ზვიად გამსახურდია გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან. 1993 წლის დეკემბერში კი, ის დევნილობაში გარდაიცვალა.

დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ზვიად გამსახურდიას უკავშირდება სამი უდიდესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში: 28 ოქტომბერი – კომუნისტური რეჟიმის დასრულება, 31 მარტი – რეფერენდუმის ჩატარება და 9 აპრილი – დამოუკიდებლობის აღდგენა; მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს.

**ქეთევან ქებაძე**

---

# წარმატებული ქართველები

გენდერულ თანასწორობაზე, კერძოდ, ქალი და მამაკაცი, რომ თანასწორია, ერთნაირი უფლებებით რომ სარგებლობენ, საათობით გვესაუბრებიან ტელეეკრანებიდან. ჩვენთვის ეს, ცოტა რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა... ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში დიდმა შოთამ თქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. სწორედ ამ პერიოდში გვყავდა ქართველებს ერთ-ერთი გამორჩეული ქალი - მეფე. დიახ, სწორედ მეფე და არა დედოფალი. ქართველი ქალი ოდითგანვე იყო მაღალი ზნეობის, სიწმინდის სიმბოლო. ისინი ოჯახის ბურჯები და უმამაცესი დედები იყვნენ. საქართველოს ნამდვილად მარგალიტის მძივებივით უბრწყინავს მრავალი ქალის სახელი. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც ბევრი საამაყო ქალბატონი ქმნიდა რაიონისა და ქვეყნის ისტორიას. ჩვენს თანამედროვეობაში კი ბაღდათს ნამდვილად საამაყოდ აქვს საქმე. სულ ახლახან საქართველოში 2018 წლის საუკეთესო მასწავლებლად ბაღდათელი ქალბატონი მანანა კაპეტივაძე დასახელდა, სწორედ ამიტომ მინდა თითოეულს, ასეთ გამორჩეულ ქალბატონებს ყველანი ვიცნობდეთ და ვამაყობდეთ, არ არის ადვილი ასეთ მაღალ საფეხურზე ახვიდე ასე სუფთად, ძლიერად და დაწერო შენი ისტორია.

გასულ წელს ბაღდათში მუშაობა დაიწყო გენდერული თანასწორობის საბჭომ. მისი ერთ-ერთი პროექტი კი სწორედ ასეთ ხუთ წარჩინებულ ქალბატონს დაეთმო, ერთობლივი პროექტით კი ჩაისახა ახალი საგაზეთო რუბრიკის იდეა.

ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, თუ ვინ იქნებოდა რუბრიკის პირველი სტუმარი და გადავწყვიტე, ახალგაზრდა, შრომისმოყვარე და ძლიერი გოგო – **გვანცა გრძელიძე** შემერჩია, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. დამეთანხმებით, სულაც არ არის ამ ასაკში ასეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობა იოლი, ამიტომ მინდა, მომავალი თაობისათვის მისი პიროვნება მაგალითის მიმცემი გახდეს, რადგან ძალა სწორედ განათლებაში, შრომასა და დასახული მიზნებისკენ ყოველდღიურად გადადგმულ ნაბიჯებშია.

გვანცა გრძელიძე 1993 წლის 3 ოქტომბერს დაიბადა თბილისში. გარკვეული პერიოდის შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად ისევ ბაღდათში დაბრუნდა და გოგონაც 1999 წელს დიმის №1 საჯარო სკოლაში შეიყვანეს. ის დიდი სიყვარულით იხსენებს დაწყებითი კლასის პედაგოგ – ნატო ნებიერიძეს და ამბობს, რომ მის სწავლა-განათლებაში ამ საოცარ ქალბატონს ლომის წვლილი მიუძღვის.

გვანცა სკოლაში თავიდანვე გამორჩეული მოსწავლე იყო. აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას, როცა შედეგები ცნობილი გახდა, გვანცა მუნიციპალიტეტში ხუთ ყველაზე მაღალქულიან სტუდენტთაგან ერთ-ერთი იყო. ამ წარმატებისათვის ის განათლების სამინისტრომ კომპიუტერით დააჯილდოვა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივესიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. მისი თქმით, სხვა პროფესიის ალტერნატივას არც კი განიხილავდა იმის მიუხედავად, რომ ინგლისურ ენას მაღალ დონეზე ფლობდა. დიდი სიყვარულით იხსენებს სტუდენტურ წლებს, ამბობს, რომ თავისი ცხოვრების საუკეთესო პერიოდია. მართალია, სტუდენტობისას გართობისთვის ნაკლებად ეცალა, მაგრამ დაუვიწყარი მოგონებები მაინც მრავლად დაუტოვა ამ პერიოდმა და, რაც მთავარია, ამ პროფესიასთან ყოველდღიურმა შეხებამ მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბა, რადგან ეს არ არის ნაზი პროფესია, ამ საკითხებთან ჩაღრმავება გხდის მებრძოლს, მედგარს, გამბედავს, რკინის ამტანობას გაძლევს, აქ არ გაქვს სისუსტის უფლება. უნივერსიტეტში გვანცა პრეზიდენტის სტიპენდიანტი და შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების მფლობელი იყო. უმაღლესი განათლების ორივე საფეხური – ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაასრულა. გვანცა არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ თეორიული ცოდნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოცხადებულ რამდენიმე საფეხურიანი კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ, ის სტაჟიორად მოეწყო და უკვე პრაქტიკაში დაიწყო თეორიული ცოდნის გამოყენება. გარკვეული პერიოდის შემდეგ გვანცა თბილისის მერიის ინიციატივით განხორციელებულ პროექტში „ჩემი ადვოკატი“ ჩაერთო, რომელიც უფასო იურიდიულ საკონსულტაციო ბიუროს წარმოადგენდა. მუშაობდა, როგორც პირველი ინსტანციის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საკითხებზე, ასევე მის შემდგომ პროცედურებზე (აპელაცია, კასაცია).

გვანცა ასევე მუშაობდა მგალობლიშვილიყიფიანი-ძიძიგურის (MKD) ბიუროში, რომელიც საქართველოში ერთ-ერთ ავტორიტეტულ და ძლიერ საადვოკატო ბიუროს წარმოადგენს. მას მუშაობა არა მხოლოდ ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზეც უწევდა, ამიტომ ორმაგად საპასუხისმგებლო იყო მისთვის ასეთ გუნდთან მუშაობა.

ბაღდათში დაბრუნებამდე იგი ასევე იყო მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის ბიუროს თანამშრომელი, რა დროსაც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო საქმიანობაში.

მისი ბაღდათში დაბრუნება, უპირველესად, მშობლიური კუთხის დიდმა სიყვარულმა და კარგი ადამიანების მის მიმართ გამოჩენილმა ნდობამ განაპირობა. მისი თქმით, დასაფასებელია, როცა შენში საყრდენს ხედავენ, ნდობას იჩენენ და სიყვარულით გექცევიან. გვანცასთვის ოჯახი და მეგობრები უპირველესია. თავისუფალ დროს კითხულობს დეტექტიური ჟანრის წიგნებსა და რომანებს.

მინდა აღვნიშნო, რომ გვანცა ძალიან უშუალო, ძლიერი და საოცრად პოზიტიური ადამიანია.

**აზა მაშანეიშვილი**

---

# დედას

ხარობ მამულის სიგანთიადით;
გადაშენების გზები ჩარაზე,
შენზე ლამაზი, შენზე დიადი,
არმეგულება ამ ქვეყანაზე.

ხარ უწმინდესი და საფიცარი,
მოხვედ ერისთვის სიკეთის ძალად,
შენი ამაგი განუზომელი,
მუდამ დაგვყვება გადუხდელ ვალად.

მკერდი გაგვითბე გულის ფიცარით,
რომ ცხოვრებაში ვიდოდეთ მძლავრად,
ჩვენ დედის ფასი რომ არ ვიცოდეთ
რა მადლი მოსავს ან რა ბარაქა,
მინას და ქალაქს არ ვახსენებდით
დედამინად და დედაქალაქად.

ულევი მადლით ამ მზემ გიღიმოს,
ყველა სიკეთე უკლებლივ გერგოს,
ჩვენი სიცოცხლის წმინდა გვირგვინო
მშვენიერების ცოცხალო ძეგლო.

**ლამარა ყურაშვილი**

# საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა

**მართლმადიდებლურმა** რელიგიამ საქართველოს განვითარება-გადარჩენაში უდიდესი როლი შეასრულა. საინტერესოა, რამ განაპირობა საქართველოში ქრისტიანობის გაძლიერება?

ქრისტიანობა პირველად შეიქმნა I ს-ში ისრაელში იესო ნაზარეველის მიერ (მორწმუნეების აზრით, ის იყო ღმერთი, რომელიც ადამიანის სახით მოევლინა ქვეყნიერებას). ხოლო მისმა მოწაფეებმა ეს სარწმუნოება, რომელიც იმდროისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური იყო, მთელ იმდროინდელ მსოფლიოში გაავრცელეს.

საქართველო თავიდანვე დაუკავშირდა ამ ახალ მოძღვრებას. გადმოცემით, ქრისტეს სიკვდილის შემდეგ მისი ნივთები ხალხმა გაინაწილა, ქრისტეს კვართი შეხვდა იქ ჩასულ ელიოზ მცხეთელსა და ლონგინოზ კარსნელს, რომელთაც იგი მცხეთაში ჩამოიტანეს.

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა და ქრისტიანობის გავრცელება ცადა ქრისტეს რამდენიმე მოწაფემ - ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა (რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზეა დასაფლავებული) და მატათამ, მაგრამ იმ დროისათვის საქართველოში ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა წარმართულ კერპებს. მიუხედავად მარცხისა, ქრისტიანობა საქართველოში თანდათან მაინც იმკვიდრებდა ადგილს. ეს კარგად გამოჩნდა III ს-ში, როდესაც იბერიის მეფე რევ I-მა აკრძალა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რის გამოც მას „მართალი“-ს თიკუნი მიანიჭეს.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას ხელი შეუწყო საგარეო ფაქტორებმაც. 325 წელს ჩატარდა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ქალაქ ნიკეაში (კრებას ესწრებოდა ეგრისის ეპისკოპოსი სტრატოფილეც), რომელიც მოწვეული იქნა რომის იმპერატორის კონსტატინე დიდის მიერ. კრებაზე ქრისტიანობა აღიარეს რომის იმპერიის მთავარ სარწმუნოებად. ქართლის მეფე მირიან III ამ პერიოდში რომის მოკავშირე იყო, ამან გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებას.

ქართლის გამაქრისტიანებლად ქართული წყაროები („მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“) თვლის წმინდა ნინოს, წარმოშობით კაბადოკიელს. ამ წყაროების თქმით, ნინო ბევრ სასწაულს ახდენდა ქართლში. სწორედ მან განკურნა დედოფალი ნანა და სხვა მრავალი დიდებული, ასევე მის ლოცვას უკავშირებენ ძველი ქართული წარმართული ძეგლების განადგურებასაც.

როდესაც მეფე მირიანმა აღიარა ქრისტიანობის ძალა, მან კონსტანტინე დიდს შეუთვალა გამოეგზავნათ მღვდლები, რომლებიც ქართლის მოსახლეობას გააქრისტიანებდნენ. სწორედ მან ააშენა პირველი ტაძარი მცხეთაში, რომელსაც სვეტიცხოველი ეწოდა.

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოში ქრისტიანობა. მისი თხოვნითა და ბიზანტიის იმპრატორისა და კონსტატინოპოლის პატრიარქის შუამდგომლობით, ანტიოქიის საპატრიარქომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) აღიარა, ხოლო მცხეთის ეპისკოპოსი აყვანილი იქნა კათალიკოსის ხარისხში.

ქრისტიანულ რელიგიაში თავიდანვე გაჩნდა სხვადასხვა სექტა და მიმდინარეობა, რომელთა შორის გამოიყოფა დიოფიზიტობა (ღმერთის ორბუნებობა) და მონოფიზიტობა (ერთბუნებობა). ამ პროცესმა საქართველოშიც იჩინა თავი. საბოლოო ბრძოლას მონოფიზოტობასა და დიოფიზიტობას შორის საქართველოს ეკლესიაში VIII ს-ში ჰქონდა ადგილი. აქ ერთმანეთს სომხეთისა და მცხეთის ეკლესიები დაუპირისპირდა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კათალიკოსმა კირიონ I-მა, რომელმაც არგუმენტირებულად ჩამოაყალიბა დიოფიზიტური მიმდინარეობის პლიუსები. საქართველოში ეს ბრძოლა ამ მიმდინარეობის გამარჯვებით დასრულდა. ხოლო XI ს-ში ოფიციალურად გაფორმდა ამ ორი მიმდინარეობის აღიარება დიოფიზიტურ, იგივე ქალკედონურ (მართლმადიდებლური) და მონიფიზიტურ (კათოლიკური) ეკლესიებად.

საქართველოში ეკლესიის გაძლიერებაში დიდი წვლილი შეიტანა „ცამეტმა ასურელმა მამამ“ (VI ს). სწორედ მათ დაიწყეს საქართველოში სამონასტრო ეპოქა. სამონასტრო ცხოვრება კიდევ უფრო გააძლიერა VIII ს-ის დიდმა მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ აფხაზთა მეფემ ლეონ II-მ მოახერხა და კონტატინოპოლის საპატრიარქოს გავლენის ქვეშ მყოფი აფხაზეთის საპატრიარქო მცხეთის საპატრიარქოს დაუქვემდებარა. ამით საქართველო ეკლესიურად გაერთიანდა. ამას XI ს-ში პოლიტიკური გაერთიანებაც მოჰყვა, ხოლო კათალიკოსის ხარისხი აყვანილი იქნა კათალიკოს-პატრიარქის ხარისხში.

საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანია 1103-1104 წლებში ჩატარებული რუის-ურბნისის კრება. სწორედ ამ კრების დროს დადგინდა ქართული ეკლესიის მმართველობის სისტემა, რომელიც, რაღაც პატარა ჩასწორებით, დღემდე არსებობს.

საქართველოს ეკლესიას ჰქონდა როგორც აღმავლობის, ისე დაცემის პერიოდი. XV ს-ში ქართული ეკლესია რამდენიმე ნაწილად გაიხლიჩა, ხოლო 1811 წელს რუსეთის იმპერიამ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია გააუქმა.

ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა დაიწყო XX ს-ის დასაწყისში. მის სათავეში იდგნენ ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე).

1905 წლის ივნისში მოწვეული იქნა ქართული სამღვდელოების კრება, რომლის გადაწყვეტილება იყო „მხოლოდ თავისუფალ, თვითმმართველ ეკლესიას ძალუძს დაიცვას წმინდა რწმენა თავისთავში და მთლიანად ფლობდეს ხმას თვის მაღალ ღვთებრივ ცნობასა, რომლისგანაც აალდება ადამიანთა გულები“.

ქართული სამღვდელოების ასეთი ერთსულოვნების გამო ეგზარქოსმა ალექსიმ, რუსი ჯარისკაცების დახმარებითა და ძალის გამოყენებით, დაშალა კრება, რასაც თვითონაც შეეწირა. ამ ამბით გამოწვეული ამბების გამო რუსეთის საპატრიარქომ ალექსი ეგზარქოსობიდან გადააყენა და მის ადგილას ნიკომედი დანიშნა.

ავტოკეფალიისათვის იბრძოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები: ალექსანდრე ხახანიშვილი, ნიკო მარი და სხვები.

1905-1906 წლებში ეპისკოპოსმა კირიონმა, დეკანოზმა კალისტრატემ, ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ და ნიკოლოს დუნოვომ დაბეჭდეს ნაშრომები, რომლითაც ასაბუთებდნენ საქართველოს ეკლესიის აღდგენის აუცილებლობას.

1908 წლის 28 მაისს ეგზარქოს ნიკომედეს მკვლელობის ორგანიზება კირიონს დააბრალეს, რადგან სწორედ ის იყო ამ ბრძოლის მთავარი შემოქმედი და სულისჩამდგმელი. იგი ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთის გარეშე გადაასახლეს ციმბირის გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში და სასულიერო ხარისხი ჩამოართვეს.

მიუხედავად საიმპერატორო რუსეთის დიდი მცდელობისა, 19187 წლის 25(12) მარტს მცხეთის სვეტიცხოველში შეკრებილმა ქართულმა სამღვდელოებამ აღადგინა ეკლესიის ავტოკეფალია. იმავე წლის 17 სექტემბერს კათალიკოს პატრიარქად აირჩიეს კირიონ საძაგლიშვილი, მაგრამ კირიონმა დიდხანს ვეღარ იცოცხლა, 1918 წლის 27 ივნისს ის მოკლეს.

საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოსათვის. ამ ამბავმა დიდი ბიძგი მისცა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის თებერვალში რუსეთმა ისევ შეიერთა საქართველო და ეკლესიის ავტოკეფალია აღარ გაუუქმებინა, სხვადასხვა გზით მაინც ცდილობდა მის შევიწროვებას. ამ პერიოდში ბევრი გამოჩენილი კათალიკოს-პატრიარქი ჰყავდა ეკლესიას. ესენი იყვნენ: ამბროსი ხელაია, რომელმაც თავი შესწირა საქართველოს, კალისტრატე ცინცაძე და ჩვენი მოქმედი პატრიარქი ილია II.

*ჯუანშერ გეგეშიძე*

# მალე: მევენახეობისა და მეღვინეობის მუზეუმი

ბაღდათელ ნაკაშიძეთა (შუქრი და ჯურხან ნაკაშიძეები) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ერთგვარი „სავიზიტო ბარათია“ – გემოვნებითი მოწყობილი მუზეუმი უცხოელ თუ ქართველ დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს. ძმების მოწადინებით, მალე მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 40 გრძივ მეტრზე ვიზიტორებს მევანახეობისა და მეღვინეობის მუზეუმის ნახვა შეეძლებათ. სამუზეუო ექსპონატებში შეგეძლებათ იხილოთ: ქვის საწნახელი (წინარექრისტიანული ხანა, შეიძლება უფრო ადრინდელი); ქვის ყურძნისა და ჭაჭის წნეხი შუა ფეოდალური ხანა; დიდი ზომის ქვის როდინი ღვინოების ეგალიზაციისათვის (შერევისათვის). ასაკი დასადგენია; ქვის სუფრა (საჯილდაო); მცირე ზომის ქვის როდინი (ასაკი დასადგენია); სხვადასხვა ზომის ჭურები; კოლხური ამფორა (სპილენძის); თიხის დიდი ზომის ჭურჭელი (ჩაფი); სპილენძის ჩაფი (ფუთიანი); სხვადასხვა ზომისა და მოცულობის ღვინის ჭურჭელი: ქვის, თიხის, ხის, სპილენძის, ძვლის, ბრინჯაოს, ვერცხლის, რკინის, ლატუნის სათავსოები და სხვადასხვა ატრიბუტები.

რაც მთავარია, მოქმედებაშია ადრეული ფეოდალური ხანის ქვის ქართული ბუხარი (თაღოვანი).

შუქრი ნაკაშიძე: „ნივთიერი მტკიცებულებების მოძიება და ადგილზე მოტანა გრძელდება. მიგნებულია და მოსატანია ორგანყოფილებიანი ქვის საწნახელი, რომელიც არსებითად განსხვავდება არსებულისაგან ტევადობით. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებით ბევრი სხვა ატრიბუტი – ყურძნის მტევნის მოწყვეტიდან ღვინის ჯამში ჩამოსხმამდე, ყველაფერი მოპოვებულია ბაღდათის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებში. ჩემ ძმასთან –ჯურხანთან ერთად ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას წლის ბოლოსთვის შევძლებთ ჩვენივე სახსრებით, მაგრამ თუკი ვინმე გამოიჩენს ქველმოქმედებას, უფრო ადრე განხორციელდება“.

ასე რომ, ბაღდათს ექნება მეოთხე მუზეუმი, რასაც ჩვენი ტოლი ბევრი რაიონი ვერ დაიტრაბახებს. ყველაფერ ამასთან ერთად შუქრი ნაკაშიძე პარალელურად მუშაობს წიგნზე „ბაღდათის მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია“.

# „საჯილდაო მათემატიკა“ – დამხმარე სახელმძღვანელო აბიტურიენტებისა და პედაგოგებისათვის

მათემატიკის პედაგოგმა **ამირან გრძელიძემ** გამოსცა წიგნი სახელწოდებით „საჯილდაო მათემატიკა“, რომელიც წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის.

ბატონ ამირანს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება აქვს. იგი მუშაობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად, აგრეთვე იყო რაიონის სახალხო განყოფილების ინსპექტორი მათემატიკის დარგში. ამჟამად ბატონი ამირანი დიმის №1 საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მუშაობს.

წიგნის შედგენისას ავტორს გამოყენებული აქვს საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მუშაობის დიდი პრაქტიკული გამოცდილება. იგი მოიცავს მათემატიკის ყველა ძირითად განყოფილებას: არითმეტიკა, რიცხვთა თეორია, ალბათობის თეორია, გეომეტრია, პროგრესიები, ფუნქციები და მათი გრაფიკები... წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი სახალისო მათემატიკის საკითხებს: ამოცანები ოქროს კვეთაზე, ფიბონაჩის რიცხვები, ეილერის განტოლებები, პითაგორას რიცხვები, წესიერი მრავალწახნაგები და ა.შ.

ავტორი სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში ამბობს: „იგი ყველასთვის მისაწვდომ სახელმძღვანელოს არ წარმოადგენს (ნაგულისხმევია, რომ მის მკითხველს მიღებული აქვს გარკვეული ცოდნა არითმეტიკიდან, ალგებრიდან, გეომეტრიიდან და ტრიგონომეტრიიდან). წიგნში მოცემულია მთელი რიგი ცხოვრებითი და პრაქტიკული ხასიათის ამოცანები. ამ წიგნის დამუშავებით მკითხველი მოიგონებს და განამტკიცებს ადრე მიღებულ ცოდნას.

გამორიცხული არ არის აგრეთვე შესაძლებლობა, რომ წიგნში მოცემული მასალები გამოიყენოს მათემატიკის მასწავლებელმა ალგებრისა და გეომეტრიის სათანადო თემების დამუშავების პროცესში, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ, დიდად დაინტერესებული, მიმზიდველი ამოცანა წარმოადგენს სტიმულს მათემატიკური შემოქმედებითი ლტოლვის გაღვივებისათვის.“

წინასიტყვაობის ბოლოს ავტორი წიგნის დაწერის ისტორიასაც გვიმხელს: „2010 წელს მასწავლებელთა პირველ სასერტიფიკაციო გამოცდაზე ვიმყოფებოდი. მოულოდნელად თვალთ დამიბნელდა, ირგვლივ ვერაფერს ვხედავდი, ექიმებმა თვალის ინსულტი დააფიქსირეს, მარცხენა თვალში მხედველობა მთლიანად დამეკარგა. ერთხანს ვყოყმანობდი, სკოლა საბოლოოდ დამეტოვებინა თუ არა, მაგრამ მეგობრების რჩევით გავაგრძელე მუშაობა.

ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის პერიოდში დიდი პრაქტიკული გამოცდილება დამიგროვდა, რომელიც ნაწილობრივ აისახა ამ უპრეტენზიო წიგნში.“

„ჩემი გაზეთი“ წარმატებას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს ბატონ ამირანს.

**თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე (სკვერში) წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა, გარდა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა, გამოიწვევს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.**

**მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილ პირუტყვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი გადაიყვანს სპეციალურ ადგილზე, სადაც ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომამდე განახორციელებს მის მოვლა-პატრონობას. მესაკუთრეს პირუტყვი დაუბრუნდება მხოლოდ ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“